შპს თეგეტა აკადემია
TEGETA ACADEMY LTD

TEGETA ACADEMY
თეგეტა აკადემია

შპს „თეგეტა აკადემია“

12 ოქტომბერი, 2020

ქ. თბილისი

ბრძანება N 0255

ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა eFlow-ს დანერგვასთან დაკავშირებით

შპს „თეგეტა აკადემიის“ ახალი საქმისწარმოების წესის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის გამოყოფის შესახებ

02.11.2017 წელს დამოწმებული (სანოტარო მოქმედების რეგ. N: A171287872) შპს „თეგეტა აკადემიის“ წესდების 7.1, 7.3 და 7.7. მუხლების და

შპს „თეგეტა აკადემიასა“ და სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შორის 2020 წლის 05 ოქტომბერს გაფორმებული N05.10.2020-1 ხელშეკრულების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. შპს „თეგეტა აკადემიაში“ (შემდგომში „აკადემია“) ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა eFlow-ს დანერგვასთან დაკავშირებით ახალი საქმისწარმოების წესის შემუშავების მიზნით გამოიყოს სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
   1.1. ეკატერინე გიგაშვილი - სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი;
   1.2. ელენე ზიბზიბაძე - საქმისწარმოების მენეჯერი;
   1.3. ეკატერინე ბაკურაძე - იურისტი, შპს „შანიძისა და ნიკოლაძის იურიდიული ჯგუფი“.
2. დაევალოს ზემოთ მითითებულ სამუშაო ჯგუფს აკადემიის ახალი საქმისწარმოების წესის შემუშავება საქართველოს კანონმდებლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და პროგრამა eFlow-ს სამომხმარებლო დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ აკადემიის კუთვნილ ოპერაციულ სისტემაში პროგრამის სრულყოფილი ტექნიკური დანერგვიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
3. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა eFlow-ს სრულყოფილად დანერგვასა და ახალი საქმისწარმოების წესის დამტკიცებამდე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან კომუნიკაცია აკადემიამ განახორციელოს eFlow-ს იმ მომხმარებლების გამოყენებით, რომელთა დანერგვასაც სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო უზრუნველყოფს 2020 წლის 18 ოქტომბრამდე.
4. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
5. წინამდებარე ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს აკადემიის დირექტორის მოადგილეს ალექსი ჩიბარაშვილს.
6. დაევალოს აკადემიის საქმისწარმოების მენეჯერს ელენე ზიბზიბაძეს წინამდებარე ბრძანების შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისათვის გაცნობა.

დირექტორი

ლია ბერუაშვილი

საქართველო, 0131 ქ.თბილისი
დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №5.
ტელეფონი: +995 32 226 44 46

საბანკო რეკვიზიტები:
"TBC-ბანკი"
SWIFT: TBCBGE22

№5, 12 km, D.Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi, Georgia.
Tel: +995 32 226 44 46

Beneficiary's Bank: TBC BANK
11. Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi. Georgia
SWIFT: TBCBGE22
BEN'S IBAN: GE58TB7543236120100007